

მირანდა კავაძე

ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტი

გლობალურ გარემოში საქართველოს კონკურენტუნარიანობის ანალიზი

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ისეთი აქტუალური საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად გავლენას ახდენენ ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე.

კონკურენტუნარიანობის შეფასების მრავალი მეთოდი არსებობს, მაგრამ კონკურენტუნარიანობის შეფასებისას დამკვიდრებულ თითქმის ყველა მეთოდს გარკვეული ხარვეზები აქვს. ენაკლებად შეიძლება გაიმიჯნოს ერთმანეთისგან კონკურენტუნარიანობის მიმდინარე და მომავალი მდგომარეობა; კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგია ყველა ქვეყნისათვის ერთნაირია, მაშინ როდესაც ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ კეთილდღეობაზე და კონკურენტუნარიანობაზე განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნებისათვის განსხვავებულია.

საქართველოს განვითარების და კონკურენტუნარიანობის გაზრდის დიდ იპოტენციად გააჩნია. ეს მიიღწევა კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევით და განვითარების იმ პერსპექტივების გათვალისწინებით, რომლებიც ქვეყანას ამ ეტაპზე აქვს. ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს, რომლის შედეგები მოსახლეობის ფართო ფენისთვის იქნება ხელმისაწვდომი, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი.

სტატიაში მკაფიოაა განსაზღვრული, გლობალიზაციის პროცესის გავლენა, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონეზე. ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა მთავარი შედეგი, კერძოდ, გლობალიზაციის ეპოქაში, ეროვნული ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის პარტნიორული ურთიერთობის დამყარება, ბიზნეს-სექტორსა და უმაღლეს საგანმანათლებლო/სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის, რომლებიც ეკონომიკური და ინოვაციური პოლიტიკის ცოდნაზე დამყარებული. ამიტომ სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს პირობები შეუქმნას ინოვაციური ტექნოლოგიის კომერციალიზაციას, იმისათვის, რომ შეამსუბუქოს ეროვნული ბიზნესის ტრანსნაციონალიზაცია და გაზარდოს ეროვნული შემოსავალი.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, კონკურენტუნარიანობა, ეროვნული ზრდა, საქართველო, ეკონომიკური განვითარება, სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, მსოფლიო კონკურენტუნარიანობა.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების უმთავრეს მოვლენას წარმოადგენს გლობალიზაცია, რომელიც ახალი ეტაპია ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციაში. მისი მახასიათებელი გახდა მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემების ფორმირება და ეროვნული საზღვრების დაძლევა.

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობა განასხვავებს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის გადრმავეების პროცესებს. ეს პროცესები განვითარების გლობალურ ეტაპზე და სულ უფრო მეტ ქვეყანას მოიცავენ. ინტერნაციონალიზაციის რაოდენობრივი

არეალის გაფართოებამ მას ახალი ხასიათი შესძინა. მსხვილი გაბატონებული სუბიექტები გადაიქცნენ გლობალური მასშტაბების მონაწილედ, პრინციპულად შეიცვალა საზოგადოებრივი განვითარების შიდა და გარე ფაქტორების თანაფარდობა. [1]

გლობალიზაციის ტენდენციის დონის დადგენა და პროცესის ანალიზი იძლევა საშუალებას გამოვაცალკევოთ ის ქვეყნები, რომლებიც მეტი ღიაობით ხასიათდებიან და მზად არიან გახსნილი ურთიერთობებისთვის. ქვეყნების გლობალიზებულიობის დონის გამოსაკვლევადა იყენებენ "შვეიცარიულ" "KOF Index of Globalization", რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ფაქტორებს. ამ ინდექსის მიხედვით, 1990-იანი წლების ბოლოს მსოფლიოს ყველაზე გლობალიზებული ქვეყანა იყო ბელგია.

გლობალიზაციის KOF ინდექსის მიხედვით ეკონომიკურ გლობალიზაციას ახასიათებს საქონლის, კაპიტალის, მომსახურების, ინფორმაციული ნაკადების შორ მანძილზე გადატანა, პოლიტიკურ გლობალიზაციას – სამთავრობო პოლიტიკის დიფუზია, ხოლო სოციალურს – იდეების, ინფორმაციის, ადამიანური ურთიერთობების მაღალი ხარისხი. ეს მაჩვენებლები, ეყრდნობა შემდეგ ქვეინდექსებს: რეალური ეკონომიკური ნაკადების მოცულობა; ეკონომიკის შეზღუდვები; ინფორმაციული ნაკადების მოძრაობა; პირადი კონტაქტების მაჩვენებლები; კულტურული სიახლოვის მონაცემები.

2015 წლის შედეგებით სახეზე გვაქვს გლობალიზაციის KOF ინდექსი, რომლის მიხედვით ყველაზე გლობალიზებული ათი ქვეყანაა: ბელგია (92.95), ავსტრია (92.51), ჰოლანდია (91.90), შვეიცარია (90.55), შვედეთი (89.75), დანია (89.68), კანადა (88.24), პორტუგალია (87.54), ფინეთი (87.31), უნგრეთი (87.00). აღნიშნულ რეიტინგში საქართველო 69-ე ადგილზეა (61.29). ჩვენს მეზობელ, ასევე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, აზერბაიჯანსა (55.18) და სომხეთს (54.99) შესაბამისად 95-ე და 96-ე პოზიციები უჭირავს. აღსანიშნავია, რომ ლიდერი ქვეყნების უმეტესობა ვეროპის რეგიონს მიეკუთვნება. ამასთან, ისინი არ ითვლებიან წამყვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოთამაშეებად. თუმცა, როგორც მონაცემები გვიჩვენებს, ყველაზე უფრო აქტიურად არიან ჩართულნი მსოფლიოს ცხოვრების ყველა ასპექტში. [2]

გლობალიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალა არის მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც ყველაზე ნათლად ვლინდება სატრანსპორტო საშუალებების და კავშირგაბმულობის გაუმჯობესებაში. ინფორმაციისა და ტელეკომუნიკაციის სექტორი ქმნის ახალ შესაძლებლობებს საქონლის, მომსახურებების, ფინანსური საშუალებების, იდეებისა და ინფორმაციული პროდუქტების სწრაფ და დაბალხარჯიანი ტრანსსასაზღვრო გადაადგილებისათვის. ახალმა ინფორმაციულმა და კომუნიკაციურმა ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო მაღალსიჩქარიანი კომპიუტერული ტექნიკის განვითარებას, ოპტიკურ-ბოჭკოვანი სიხშირეების გადაცემას, თანამგზავრული და მობილური კავშირის, კიბერნეტიკის, ქსელური ტექნოლოგიების, ციფრული ტექნოლოგიების კოდირების, ტელევიზორების ახალი თაობის ტექნოლოგიების, კომპაქტური ელექტრონული მოწყობილობების, გლობალური ინტერნეტ ქსელის შექმნას და სხვა ტექნოლოგიური მიღწევებს. [3]

მსოფლიოში ყველა ეთნოკულტურა დგას უდიდესი გამოცდის წინაშე, რათა როგორმე შეძლოს, არ დაკარგოს თავიანთი ეროვნული თვითმყოფადობა. ჩვენ, ქართველმა ერმა, უნდა გადავლახოთ ჩვენს წინაშე მდგარი მსოფლიო ერთიან სივრცეში უნიფიცირების უდიდესი საფრთხე, უნდა მოვარგოთ გასაღები შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობას და უნდა შევძლოთ ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ჩვენი ერის წინაშე მდგარი უმთავრესი საფრთხე მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში ჩვენი ეროვნული თვითშეგნების და-

კარგვაში მდგომარეობს. ამასთან, კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ თავად გლობალიზაცია არ შეიძლება იყოს ქართველი ერის არც მტერი და არც მოყვარე, რამეთუ იგი წარმოადგენს მსოფლიოში არსებული ნებისმიერი ერის მსოფლიოს ერთიან სივრცეში ინფორმაციული, სავაჭრო, ფინანსური, ეკონომიკური ინტეგრირების ობიექტურად აღძრულ პროცესს.

როცა ვსაუბრობთ გლობალიზაციის პროცესში საქართველოს შესაძლო მონაწილეობის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოზე გლობალიზაციის პროცესი ახდენს, როგორც დადებით ისე უარყოფით გავლენას. მისი ხარისხი დამოკიდებულია სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკაზე.

დადებითი ეფექტი, უპირველეს ყოვლისა, გასაღების ბაზრის გაფართოებაში მდგომარეობს. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობა მცირეა. თუ გავითვალისწინებთ რომ მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე საკმაოდ დაბალია, ნათელი ხდება, რომ ისედაც შეზღუდული ტევადობის ბაზარი კიდევ უფრო მცირდება, ვიწროვდება. ბაზარი შეიძლება გაფართოვოთ მრავალი საშუალებით, მაგრამ თუ მას გაფართოვებით მხოლოდ შიდა ბაზრის დახმარებით, შედეგები საკმაოდ მოკრძალებული იქნება. გლობალიზაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოვოს შიდა და გარე ბაზარი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გამოყენებით. ბაზრის გაფართოება გადამწყვეტ როლს ასრულებს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. საბაზრო ეკონომიკაში ინვესტიციები შეიძლება გაიზარდოს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს საქონლის გასაღების ბაზარი. თუკი საქართველოს ბაზარი გაფართოვდება გლობალიზაციის შედეგად, ეს მოიზიდავს უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც ჩვენ ქვეყანაში დააბანდებენ ინვესტიციებს და შემოიტანენ ახალ ტექნოლოგიას, გამოიყენებენ საქართველოს შრომით და ბუნებრივ რესურსებს პროდუქციის საწარმოებლად. წარმოებული პროდუქცია კი გატანილი იქნება რეგიონულ და მსოფლიო ბაზრებზე, რაც მნიშვნელოვან შემოსავალებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას. გლობალიზაციით შექმნილი ხელსაყრელი პირობები შესატყვისი იქნება უცხოური ინვესტიციების ზრდისა, რაც, ამავე დროს, ხელს შეუწყობს საქართველოს შიდა ინვესტიციური რესურსების ეფექტიან მიმოქცევას.

როგორც მრავალ პატარა ქვეყანას, ისე საქართველოსაც არ აქვს საკმარისი საკუთარი სახსრები მოახდინოს დიდი რაოდენობის ინვესტირება წარმოების თუ მომსახურების სფეროში. გლობალიზაციის პროცესი კი ამის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა. თუ განვიხილავთ საქართველოში უცხოური ინვესტიციების სტრუქტურას, ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიხედვით, შესაძლებელია გავაკეთოთ დასკვნა, რომ უცხოური ინვესტიციების მთლიან მოცულობაში იზრდება იმ ქვეყნების ინვესტიციების მოცულობა, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში ლიდერის მდგომარეობას განსაზღვრავს. აღიარებულია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ფაქტობრივად ასრულებენ გადამწყვეტ როლს ბევრი ქვეყნის ეკონომიკის შეერთებისა და ინტეგრირებული ინტერნაციონალური საწარმოო სისტემის – გლობალიზებული მსოფლიო ეკონომიკის საწარმოო ბირთვის შექმნისათვის. [4]

როგორც აღნიშნა, გლობალიზაციის პროცესი ჩვენს ქვეყანაზე არა მარტო დადებით, არამედ უარყოფით ზემოქმედებასაც ახდენს. იგი მაღალი თუ დაბალი ხარისხით დამოკიდებულია ქვეყნის მიერ გატარებული პოლიტიკაზე. ყველაზე სერიოზული საშიშროება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს გლობალიზაციის უარყოფითმა ზემოქმედებამ, იმაში მდგომარეობს, რომ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანებით, ჩვენ ეტაპობრივად უნდა

შევამციროთ საბაჟო გადასახადი. ე.ი. გავაუქმოთ სავაჭრო ბარიერები, ამის შედეგად უცხოური საქონელი გააჯერებს საქართველოს ბაზარს და ჩაახშობს ეროვნული საწარმოების საწარმოო და სამეურნეო საქმიანობას. ჩვენი ქვეყნის საწარმოები ჯერ კიდევ არ არიან აღჭურვილი უახლესი ტექნიკითა და ტექნოლოგიებით, რის გამოც დაბალია შრომის ნაყოფიერება, აქედან გამომდინარე დაბალია პროდუქციის ხარისხი და მაღალია თვითღირებულება. ყოველივე ეს ართულებს უცხოურ პროდუქციასთან კონკურენციას.

გლობალიზაციის უარყოფითი შედეგია ისიც, რომ ამ პროცესში მონაწილეობენ არა მარტო პროგრესული ეკონომიკური ძალები, არამედ რეაქციული, მაფიოზური და ტერორისტული ორგანიზაციებიც. მაფიოზური ქსელი ვრცელდება მთელ მსოფლიოზე და მისი გავლენისაგან არც საქართველოა დაზღვეული.

გლობალიზაციის პროცესში, საქართველოთი დიდი სახელმწიფოების დაინტერესება გაიზრდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს საქართველოს მთლიანობის და უსაფრთხოების ავტომატურ უზრუნველყოფას, რომლის ილუზიაც შეიძლება წარმოიშვას ე.წ. კონცეფციამ „ახალ სინგაპურად“ ან „ახალ კუვეიტად“ საქართველოს გადაქცევის შესახებ. „კორიდორის“ რთული დაქუცმაცებულ და დაუძღვრებულ საქართველოსაც შეიძლება შეასრულებინონ. საქართველომ საკუთარ სიძლიერეზე დაყრდნობით უნდა უზრუნველყოს თავისი უსაფრთხოება და არ უნდა იყოს მხოლოდ სხვა ძლიერი სახელმწიფოს დახმარების იმედით, რომელმაც შეიძლება გაწიროს საქართველო თავისი ინტერესებისათვის.[5]

XXI საუკუნეში ეკონომიკური განვითარების წარმატება და სოციალური პრობლემების დაძლევის უნარი ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ახერხებს საზოგადოება გლობალური რეალობების პირობებში ადაპტირებას და როგორ იყენებს მას მოდერნიზაციის მიზნებიდან გამომდინარე.

საქართველო თანდათან გადადის თანამედროვე ინდუსტრიულ ერაში, მაშინ როცა დასავლეთის ქვეყნები და იაპონია უკვე დიდი ხანია ცხოვრობენ პოსტინდუსტრიულ ერაში. ამიტომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ რეალურად შევიდეთ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების რიცხვში. ამისათვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს გლობალიზაციის ობიექტური პროცესი.

გლობალიზაციის განვითარების საფუძველს წარმოადგენს საბაზრო მექანიზმი, მსოფლიოში სამეურნეო ურთიერთობების ლიბერალიზაცია, საერთაშორისო „საბაზრო გაერთიანების“ მუდმივი გაფართოება. შემთხვევითი არ არის, რომ საუბრობენ არამარტო მსოფლიო ვაჭრობის და საერთაშორისო საფინანსო სისტემის განვითარებაზე, არამედ ასევე ინტერნეტ-ინვესტიციებზე, ინტერნეტ-ბირჟაზე, ინტერნეტ-ინოვაციებზე და ა.შ. მხედველობაშია არამარტო მსოფლიო ეკონომიკის ინტერნეტიზაცია, არამედ გლობალური საინფორმაციო საზოგადოების განვითარება, ე.წ. „ახალი ეკონომიკის“ ბაზაზე.[6]

გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ეროვნული ეკონომიკა იძულებულია კონკურენცია გაუწიოს მაღალხარისხიან იმპორტულ პროდუქციას არა მარტო გარე არამედ შიდა ბაზარზეც, საქონელმწარმოებლისათვის ძირითადი ეკონომიკურ პრობლემაა ეროვნული კონკურენტუნარიანობა.

ქვეყნის შედარებითი უპირატესობა, როგორც წესი, არ არის მუდმივი, თუმცა დროის გარკვეულ მონაკვეთში იგი ფლობს ე.წ. სტაბილურ, სტატისტიკურ ხასიათს. კონკურენტული უპირატესობა, პირიქით, საკმაოდ დინამიურია, რადგან დამოკიდებულია ცვალებად ინვესტიციურ და ინოვაციურ რესურსებზე, საბაზრო კონიუნქტურაზე, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ აღმოჩენებზე.

ნებსა და წარმოებაში მათ შეღწევაზე.[7]

ქვეყნის ინტელექტუალური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის გათვალისწინებით, ხელსაყრელი ტექნოლოგიური და სამეწარმეო პოლიტიკის გატარებით, საქართველოს ექნება პროდუქციის ტექნოლოგიური კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობა. ტექნოლოგიური პროგრესის ამოცანების გადასაწყვეტად, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, შეიქმნას ინოვაციის მხარდამჭერი სფერო. უნდა განხორციელდეს ინოვაციური და ინტელექტუალური კონკურენტული უპირატესობების ფორმირებისა და გამოყენების მიზანმიმართული პოლიტიკა, ნაცვლად ტრადიციული ბუნებრივი შედარებითი უპირატესობებისა, რომლებიც ორიენტირებულია მხოლოდ ნედლეულის ექსპორტზე. საქართველოსათვის აუცილებელია თანამედროვე სამეწარმეო ფენის ფორმირება, თანამედროვე კონკურენტული სფერო და ორივე მათგანის რეალური მხარდაჭერა. ამისათვის საჭიროა ეროვნული საფინანსო-საბანკო სისტემის გაძლიერება, ეკონომიკაში ინვესტიციური პროცესების გაფართოება.

როგორც ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ფაქტორს, ეროვნულ და საერთაშორისო ბაზარზე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო - სავაჭრო და საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკას. საგარეო პოლიტიკა შეიძლება ფართოდ იყოს გამოყენებული, როგორც ეროვნული წარმოების მიზანმიმართული მხარდაჭერის ფაქტორი, რომელსაც აქვს შანსი გახდეს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე. ჯერჯერობით მცირედ გამოიყენება ინსტრუმენტები ეროვნული დარგების დასაცავად და მათი კონკურენტუნარიანობის მხარდასაჭერად - ანტიდემპინგური, სპეციალური და მაკომპენსირებელი გზავნილები, არასატარიფო შეზღუდვები კვტებისა და ლიცენზიების ჩათვლით, ე.წ. ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები.

ბოლო დრომდე უკიდურესად სუსტად ან საერთოდ არ გამოიყენება სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ზომები. (იგულისხმება ინსტრუმენტები ექსპორტის სტიმულირებისათვის, რომლებმაც დაამტკიცეს თავიანთი ეფექტურობა ბევრ ქვეყანაში).

ქართული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიმართულებაში მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს სხვა ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა აშშ-ს, იაპონიის და დასავლეთ ევროპის გამოცდილების შესწავლა.

დღესდღეობით აღიარებულია, რომ მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების გასაღები მდგომარეობს თავისუფალი მეწარმეობის ხელშეწყობაში, საბაზრო მექანიზმებში. თავის მხრივ, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, ინოვაციური ეკონომიკა აფართოებს და აღრმავებს საბაზრო წრეს, აძლევს მას ახალ თვისებებს ინოვაციური პროცესებისა და უახლეს წარმოებაში ინვესტიციების სტიმულირების ბაზაზე.

დღეისათვის არც ომის ძალა და არც ეკონომიკური სიძლიერე არ განსაზღვრავს მსოფლიო ლიდერობას. მსოფლიო ლიდერობას განსაზღვრავს მეცნიერება, ცოდნა, მოსახლეობის განათლება, მომუშავეთა კვალიფიკაცია, რომლებიც დაინტერესებული არიან ინოვაციური პროცესის მასშტაბების მუდმივი ზრდით. [8]

ჩვენი ქვეყნის ინოვაციური მიმართულებების განვითარებაზე გადასვლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო მეცნიერულ-ტექნოლოგიური თანამშრომლობის გაფართოება. საქართველოს აქვს შესაძლებლობა ასეთი თანამშრომლობა გააფართოოს და გააძლიეროს არამარტო აშშ-სთან არამედ ევროკავშირთანაც. [9]

გლობალიზაცია სწორედ ასეთ პირობებში არის საქართველოსათვის რეალური შანსი

შევიდეს განვითარებულ საბაზრო ურთიერთობებში, მიიღოს არამარტო აუცილებელი გამოცდილება ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების შემდგომი განვითარებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებისათვის, არამედ ასევე მიიღოს ამ მიზნებისათვის ფულადი სახსრები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Castells M. Information Technology, Globalization and Social Development, UNITED NATIONS RESEARCH INSTITUTE FOR SOCIAL DEVELOPMENT, UNRISD Discussion Paper No. 114, September / M. Castells, 1999.
2. KOF Index of Globalization www.globalization.kof.ethz.ch
3. Синцеров Л. Длинные волны глобальной интеграции. Жрн. „Мировая экономика и международные отношения“, №5, / Л. Синцеров, 2000. М., стр. 55.
4. Werbner, P. and Modood, T. (eds), Debating Cultural Hybridity. London: Zed Books. Globalization and Cultural Identity / P. Werbner, and T. Modood, 1997. p. 271-273.
5. Кудрин А., Гурвич Е., „Новая модель роста экономики“ Жрн. „Вопросы экономики“ №12, стр. 37, / А. Кудрин, Е. Гурвич, 2000, М.
6. Tomlinson J. – Globalization and Culture. University of Chicago Press, 15 June. 277 / J. Tomlinson, 1999.
7. Осьмова М. Н., Бойченко А. В. Глобализация мирового хозяйства. М.: ИНФРА-М, / М. Н. Осьмова, А. В. Бойченко, 2011.
8. Lundvall B.-Å. National Innovation Systems: Towards a Theory of Innovation and Interactive Learning. London: Pinter Publishers, / B.-Å. Lundvall, 1992.
9. ბარათაშვილი ე. გეზაია ბ. დღონტი ვ. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები. გვ. 138. 2012.